MES 6 20 0000965919

08/10/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2020 წლის 24 სექ ტემბერს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
ნინო ინასარიძე- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამის ,,გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტისდირექტორის მოადგილე;

თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

გაგა გვენეტაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ნინო სარჯველაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

სტენოგრაფისტი:
ანა ქოიავა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. *1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტი:*

თეიმურაზ ხუროძე - კანცლერი;
ავთანდილ გაგნიძე - ხარისხის უაზრუნველყოფა, პროგრამის თანახელმძღვანელი;
ლელა ვანიშვილი - სასაწავლო პროცესის მართვის სასახურის წარმომადგენელი;
მიხეილ თუთბერიძე - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელი.

1. *2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია:*

ირაკლი შარაბიძე - საზღვაო აკადემიის რექტორი;
ირაკლი კაცაძე - რექტორის პირველი მოადგილე;
აბდულ კახიძე - რექტორის მოადგილე;
მანუჩარ ლორია - რექტორის მოადგილე;
ნინო ყურშუბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ყიფიანი - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
თეიმურაზ ჩოხარაზე - ნავიგაციის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
მიხეილ ლეჟავა - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;
რომან მამულაძე - ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის დეკანი;
გელა ბაკურიძე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. *1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტი - ექსპერტები:*

გოჩა თუთბერიძე;
ინგა ბოჭოიძე;
ქეთევან კანკავა.

1. *2. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია - ექსპერტები:*

ია მოსაშვილი;
ქეთევან აფთარაშვილი.

საჩივრის ავტორი:
ვაჟა ანანიძე

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

ცენტრის წარმომადგენელმა გაგა გვენეტაძემ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით და დღის წესრიგში პირველ ნომრად დაემატებინათ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის **№846940** გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანის საკითხი.

საბჭომ გაიზიარა ცენტრის შუამდგომლობა და შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა სხდომის განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის **№846940** გადაწყვეტილებაშ ი ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

2. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტისათვის “ჯანდაცვის მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №846940 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №846940 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში დაშვებული იყო ტექნიკური ხასიათის ცვლილება და ნაცვლად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა ეწერა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** შესაბამისად, საჭირო იყო გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №846940 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №846940 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
"2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 16 სექტემბრის №845865 სხდომის ოქმის 1-ლი ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.“

2. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტისთვის “ჯანდაცვის მენეჯმენტის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზებულ რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისთვის შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე ცენტრში წარდგენილ განაცხადს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 10 აგვისტოს. ვიზიტის მიზანი იყო შეფასების განხორციელება აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზებულ რეჟიმში დამატებისათვის. ვიზიტამდე 7 აგვისტოს, შედგა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიდეო-კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები და თანდართული დოკუმენტაცია. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 10 აგვისტოს 10:00 საათიდან, დაიწყო გასაუბრება პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების, სასწავლო პროცესის მართვის, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან. ინტერვიურების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის მოწოდება ინსტიტუციამ უზრუნველყო გარდა გარე კონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებისა (დაწესებულებამ წარმოადგინა ხელშეკრულება, მაგრამ ის არ იყო სათანადოდ გაფორმებული), დროულად და სრულად უზრუნველყო.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის ყველა იმ სტანდარტთან მიმართებით, რომლებიც შემხებლობაში არიან ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებასთან. კერძოდ, I (1.1 და 1.2), II (2.2, 2.3); III (3.1, 3.2 და 3.3), IV (4.1 და 4.2), V (5.1 და 5.2), VI (6.1, 6.2, 6.3) და VII (7.1, 7.2, 7.3 და

7.4) სტანდარტებთან მიმართებით. ინსტიტუცია არ შეფასებულა 2.1 სტანდარტის კომპონენტთან (ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა) მიმართებით, რადგან ჩაითვალა, რომ ის უშუალოდ არ იყო დაკავშირებული ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან.

შეფასების შედეგად ექსპერტთა ჯგუფი თვლიდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, შეეძლო განეხორციელებინა „ჯანდაცვის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფმა საბჭოს მოახსენა მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები :

1.სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს მისიას, ხედვას, მიზნებს და მოიყვანოს ის შესაბამისობაში საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან;
2.უნივერსიტეტის და წარმოდგენილი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის რეალური მდგომარეობის სწორი SWOT ანალიზი. ანალიზის შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის გადამუშავება, სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანების და კრიტერიუმების გადახედვა, შესაბამისი ფინანსური რესურსის სწორად განაწილება და შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება;
3. უნდა გაიმიჯნოს ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურების ფუნქციები და მოვალეობები;
4. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ სტუდენტთა ეთიკის კოდექსში დააკონკრეტოს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული დისციპლინური გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები;
5. მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცესში მონაწილე ერთეულების „ინიცირების ჯგუფი“, „სამუშაო ჯგუფი“ ფუნქციები და მოვალეობები გაიწეროს და გაკეთდეს შესაბამისი სამუშაო აღწერილობები;
6. მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფდეს, საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის, პროგრამით გათვალისწინებულ ვადაში (4 სემესტრი) მეშვიდე დონის სწავლის შედეგების მიღწევას;
7. მიზანშეწონილია დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ;
8. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგები განათლების მეშვიდე საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. შედეგებში გამოკვეთოს კომპლექსური და არაპროგნოზირებადი გარემოს მულტიდისციპლინური მიდგომით მართვის და ინოვაციების განვითარებისათვის საფუძვლის შექმნის ელემენტები;
9. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, რათა მათი გაზომვადობა მეტად უზრუნველყოფილი იყოს;
10. მიზანშეწონილია სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული იყოს ლიდერობის, მარკეტინგის მენეჯმენტის, მენეჯერული კვლევის მეთოდების სასწავლო კურსების სწავლება;
11. მიზანშეწონილია გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების რუკა ისე, რომ ნათელი იყოს კონკრეტული სასწავლო კურსის კავშირი პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგთან;
12.მიზანშეწონილია სწავლების ფორმები და მეთოდები შეირჩეს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე;
13. სასურველია გადაიხედოს პროგრამაში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსის სილაბუსი და ნათლად ჩამოყალიბდეს მასში კონკრეტულად თუ რა ტიპის პრაქტიკას გადის სტუდენტი;

14. მიზანშეწონილია მოხდეს კონკურსის ჩატარების წესის სრულყოფა და ნათლად გაიწეროს პროცედურები;
15. კონკურსის შედეგების გასაჯაროებისას დაწესებულებამ დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;
16. საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, აკადემიური კონკურსის გამოცხადება და კონტინგენტის გაზრდა;
17. მიზანშეწონილია შემუშავდეს სამიზნე ნიშნულები პერსონალთან მიმართებაში;
18. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაზე გამოყოფილი საათები უნდა გაიწეროს კონკრეტული აქტივობების მიხედვით;
19. მიზანშეწონილია უცხო ენის ცოდნის მოთხოვნები და გამოცდის ფორმატი იყოს გამჭვირვალე, ცხადი და დეტალურად ცნობილი პოტენციური სტუდენტებისათვის, რაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტაციით;
20. მიზანშეწონილია შეიქმნას სამსახურები, რომლებიც პასუხიმგებელი იქნებიან სტუდენტურ სერვისებზე;
21. მიზანშეწონილია დაწესებულებამ, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოახდინოს კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
22. მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმით და კვლევის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების ადეკვატური ხარჯების გაწერა ბიუჯეტში;
23. მიზანშეწონილია დაწესებულებამ შეიმუშაოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი და სისტემა;
24. მიზანშეწონილია მატერიალური რესურსის გაუმჯობესება. კერძოდ, ვინაიდან, ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამით ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები როგორიცაა ოპერაციული მენეჯმენტი, პროექტების მართვა, რომელთა სწავლება საჭიროებს კომპიუტერულ უზრუნველყოფას, შესაბამისად, დაწესებულებას უნდა გააჩნდეს კომპიუტერული კლასი, მინიმუმ, 17 კომპიუტერით;
25. მიზანშეწონილია დაწესებულებამ ელექტრონული რესურსების გარდა შეიძინოს ბეჭდური ლიტერატურა და ასევე აღჭურვოს კომპიუტერული, ასლგადამღები, საბეჭდი და სხვა ტექნიკური საშუალებებით ბიბლიოთეკა;
26. დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროგრამის ბიუჯეტი რომელშიც გაწერილი იქნება: ერთი მხრივ, შემოსავლები და მეორე მხრივ ყველა ხარჯი (სალექციო საათების ანაზღაურება, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ანაზღაურება, ადმინისტრაციის, სწავლების პროცესში სტუდენტების მატერიალური მხარდაჭერის, პროგრამის განვითარების, აკრედიტაციის, ინეტრნაციონალიზაციის და ა.შ. გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით).

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა, თუ რატომ იმატებდა დაწესებულება პროგრამას ავტორიზებულ რეჟიმში და იგეგმებოდა თუ არა პროგრამისთვის აკრედიტაციის მოპოვება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ ინსტიტუცია გეგმავდა პროგრამის აკრედიტაციის მისაღებად დოკუმენტების ცენტრში წარდგენას, თუმცა ვადები იყო შეზღუდული. მან ასევე აღნიშნა, რომ აკრედიტაციაზე პროგრამის შეტანა იგეგმებოდა 2021 წლის იანვარში. მნიშვნელოვანი იყო ასევე, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების უმეტესობას დაწესებულება ვიზიტის დროს დაეთანხმა და შესაბამისად მოახდინა აუცილებელი ცვლილებების გატარება რეკომენდაციების შესრულების მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის მისიასთან დაკავშირებული რეკომენდაცია გასცა იმიტომ, რომ დაწესებულებას მისიაში მითითებული არ ჰქონდა ,,ჯანდაცვის მენეჯმენტი“ და მისიაში აქცენტი მხოლოდ სამედიცინო პროგრამებზე იყო გაკეთებული.

რაც შეეხება SWOT ანალიზს, დაწესებულებას, ვიზიტის დროს მოცემული პროგრამისთვის აღნიშნული ანალიზი არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუმცა მოხდა აღნიშნული ღონისძიების მოგვიანებით გატარება და პროგრამაში ჩართვა, შესაბამისად ანალიზთან ერთად მოცემული იყო როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ექსპერტთა მიერ გაცემულ მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, მოხდა ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურების ფუნქციებისა და მოვალეობების გამიჯვნა. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტი იყო ახალი, დაწესებულებაში, რამდენიმე სამსახური იყო გაერთანებული, რაც პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, მომავალში აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო.
მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ასვე სტუდენტთა ეთიკის კოდექსის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაზუსტება კოდექსში შეტანილი იქნა შემდეგი სახით: ,,სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინარული პასუხისმგებლობის ფორმა დასაშვებია, მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის ნორმების ძალზედ უხეშად დარღვევის, ან მძიმე დარღვევის შემთხვევაში“. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მუდმივად იღებდა დისციპლინარულ საკითხთა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ადმინისტრაციის, შესაბამისი სკოლისა და სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენლები. კოდექსი დეტალურად იყო გაწერილი სტუდენტების უფლებები.
პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ ინიცირების ჯგუფის მიერ დაზუსტდა მათი მთავარი მიზანი, რასაც ახალი პროგრამების შემუშავება და უნივერსიტეტის ფარგლებში მისი წარმოდგენა, ხოლო სამუშაო ჯგუფი უშუალოდ დეტალურად პროგრამის შემუშავებასა და დახვეწაზე იყო პასუხისმგებელი.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-6 რეკომენდაციაზე და განაცხადა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული იყო მხოლოდ ბაკალავრის დიპლომი, ნებისმიერი მიმართულებით, თუმცა რა თქმა უნდა უპირატესობას წარმოადგენდა ,,ბიზნესის ადმინისტრირება“. წინაპირობას ასევე განსაზღვრული იყო ინგლისური ენის ცოდნაც. ინსტიტუციის წარმომადგენლმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად დაეთანხმა ექსპერტთა მითითებულ რეკომენდაციას და შესაბამისად, დადგინდა პროგრამაზე მისაღებად შიდა გამოცდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ, მოითხოვა პროგრამაზე მიღების წინაპირობების მეტად დეტალური განხილვა.
ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გარკვეული კურსები, შედიოდა ჯანდაცვის პროგრამიდან, რაც სავსებით მართებულია. რაც შეეხება, დაშვების წინაპირობებს, იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც მედიცინის პროგრამა არ ჰქონდათ დამთვარებული, აღნიშნული პროგრამა რთულად დასაძლევი იქნებოდა. თუმცა დაწესებულების განცხადებით, მსგავსი სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ დამატებითი კურსებით.
საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობა უნდა უზრუნველყოფდეს ისეთი სტუდენტის მიღებას, რომელსაც პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის უნარი აქვს. მან მიმართა დაწესებულებას და დააზუსტა თუ როგორ დაკორექტირდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასაშვებ წინაპირობად განისაზღვრა შიდა გამოცდა, სადაც მოცემული იქნებოდა საფუძვლები, რათა სტუდენტს შესძლებოდა საწყისი კურსების ათვისება. ინსტიტუციას საკმარისი გამოცდილება ჰქონდა იმისთვის, რომ არსებული ხარვეზები ოპერატიულად მოეგვარებინა.
რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, საიტზე ინფორმაცია არ იყო მითითებული, რადგან პროგრამას არ ჰქონდა აკრედიტაცია მინიჭებული, რაც გამოსწორდა და საიტზე მიეთითა აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგი დაზუსტა და დაკორექტირდა.
სილაბუსში სწავლის შედეგების რაოდენობასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ინსტიტუციამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაცია და შესაბამისად, განახორციელა აუცილებელი ცვლილებები.
მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ინსტიტუციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ,,მენეჯერული კვლევის მეთოდების“ სილაბუსი სათანადოდ იქნა შეცვლილი, რაც ექსპერტებმაც იხილეს, ხოლო რაც შეეხება ,,მარკეტინგის მენეჯმენტს“, მარკეტინგთან დაკავშირებით, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ჯანდაცვის მარკეტინგზე, რაც იმ ეტაპზე არჩევითი კურსის სახით იყო შეთავაზებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სწავლების შედეგების რუკა, რეკომენდაციის შესაბამისად, ინსტიტუციის მიერ იქნა დაზუსტებული.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა მე-11 რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ სწავლის ფორმებისა და მეთოდების შერჩევა მუდმივად ხდებოდა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.
საბჭოს თამჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიმართა ექსპერტს, რათა მას განემარტა თუ რით იყო აღნიშნული რეკომენდაცია განპირობებული.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ აღნიშნა, რომ სილაბუსების ნაწილი იყო ერთიანი და არ იყო მოცემული უნიფიცირებულად. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა მოცემული რეკომენდაციის განსაზღვრა.
კონკურსის ჩატარების წესთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმღვანელმა განმარტა, რომ კონკურსის ეტაპზე გასაუბრების მიზანს წარმოადგენდა, იმის გარკვევა თუ რამდენად თანხვედრაშია სტუდენტთა ხედვა და მოლოდინები უნივერსიტეტის ხედვასთან.
ექსპერტის განმარტებით, გასაუბრების მიზანი იყო დოკუმენტების შესაბამისობის დადგენა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სახეზე იყო ტექნიკური შეცდომა.
პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზი აღმოიფხვრა და შესაბამისად გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია.
დაწესებულა სრულიად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-16 რეკომენდაციას. შესაბამისად უახლეს მომავალში იგეგმებოდა კონკურსის გამოცხადება კონტინგენტის გაზრდის მიზნით.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა პერსონალის რაოდენობა, რაზეც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში წარმოდგენილი იყო 18 პირი, რომელთაგან 9 შეადგენდა უშუალოდ დაწესებულების აკადემიური პერსონალი და 9 მოწვეული.
მნიშვნელოვანია ასევე 21-ე რეკომენდაცია. დაწესებულებაში შექმნილი იყო კვლევითი განვითარების სამსახური. აღსანიშნავია, ასევე, რომ კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრის ვალდებულება ჰქონდა უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია აგრძელებდა საკითხზე მუშაობას.
რაც შეეხება 23-ე რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ინსტიტუცია უზრუნველყოფილი იყო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, რაც ბიუჯეტშიც იყო ასახული.
ლიტერატურასთან დაკავშირებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურა ძირითადად მოცემული იყო ელექტრონულად, რადგან განახლების პროცესი იყო მეტად გამარტივებული, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავდა ინსტიტუციის ბეჭდური ლიტერატურით აღჭურვას.
მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას ჰქონდა ხელშეკრულებები დადებული სხვადასხვა კლინიკებთან, სადაც სტუდენტების გაივლიდნენ პრაქტიკას.
საბჭოს წევრმა ირაკლი კოხრეიძემ დააზუსტა, თუ რომელ კლინიკებთან ჰქონდა დაწესებულებას ხელშეკრულება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თანამშრომლობა მიმდინარეობდა ორ საბაზისო კლინიკასთან, ესენია, სამადაშვილის კლინიკა და ბალნეოლოგიური კურორტი. გარდა ამისა, ხელშეკრულებები დადებული იყო 14 კლინიკასთან. ერთ-ერთი ხელშეკრულება გაფორმებული იყო ასევე ჯეო ჰოსპიტალთან.
საბჭოს წევრმა ასევე დააზუსტა, იგეგმებოდა თუ არა ისეთი თანამშრომლობა კლინიკებთან, რომ პანდემიის პირობებში შესაძლებელი ყოფილიყო შრომისა და სწავლის უსაფრთხოების მიზნით ღონისძიებების გატარება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკის განხორციელებისა მითითებული მიმართულება აუცილებლად იქნებოდა ინტეგრირებული.
საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ წმინდა იოფინესა და ანას სახელობის კლინიკა პანდემიის პირობებში გადაქცეულიყო კოვიდ ცენტრად, შესაბამისად დაინტერესდა თუ როგორც მოხდებოდა მოცემულ პირობებში კლინიკური სწავლების უზრუნველყოფა.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იმ ეტაპზე ინსტიტუციას არ ჰყავდა სტუდენტები, შესაბამისად მოცემული პრობლემა დრის წესრიგში არ იდგა.
საბჭოს წევრმა ასევე იკითხა, თუ ბიუჯეტის რამდენი პროცენტი იყო გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაახლოებით 30%.
საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსების ნაწილში არ არის მითითებული პედაგოგის, ავტორის გვარი. აღნიშნულთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახეზე იყო ტექნიკური სახის ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა ცენტრის მიერ დაწესებულების კვლავ შემოწმება რეკომენდაციების გათვალისწინების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კიდევ ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა სათათბირო შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:00 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:10 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტისათვის "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 86-ე მუხლი პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება დაიმატოს და განახორციელოს "ჯანდაცვის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ სასწავლო უნივერსიტეტში 18 თვეში, რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით, განხორციელებულიყო მონიტორინგის ჯგუფის შეფასება.

3. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა განმარტა, რომ მონიტორინგის მიზეზს წარმოადგენდა 2020 წლის მაისსა და ივნისში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული საჩივრის წერილები, რომელიც იყო ბათუმის საზღვაო აკადემიის მიმართ, მათივე სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს ყოფილი კოორდინატორის მხრიდან. აღნიშნულ წერილებში ავტორი ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა მეცნიერული არაკეთილსინდისიერების ფაქტებზე და თან ურთავდა მასალებს, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო აკადემიის რექტორისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამეცნიერო საქმიანობისადმი, კერძოდ მათი პლაგიატის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები უნივერსიტეტიდან, რომელთა მიწოდება მოხდა დროულად. ინტერვიუ შედგა, როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში შემოსული წერილების ავტორთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა განმცხადებლის წერილები, შეისწავლა გარემოებები, რომელიც ასახული იყო ამ წერილებში, ასევე განიხილა დაწესებულების მიერ ამ საკითხებთან მიმართებით წარმოდგენილი მასალა, ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაცია და გააკეთა შესაბამისი დასკვნები.
აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მონიტორინგამდე ერთი თვით ადრე დაწესებულებაში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი, რის დროსაც დაწესებულება შეფასდა მეექვსე სტანდარტთან მიმართებით, ამიტომ ამ მონიტორინგის ფარგლებში მე-6 სტანდარტის დეტალური შემოწმება არ განხორციელებულა, თუმცა საჭიროებისამებრ მოხდა ძირითადი საკითხების მიმოხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა განმცხადებელს ვაჟა ანანიძეს, სურდა თუ არა მას თავისი პოზიციის დასაბუთება, რაზეც მან იმ ეტაპზე უარი განაცხადა.

ექსპერტთა ჯგუფი თავმჯდომარემ ია მოსაშვილმა, განმარტა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრუქტურა უზრუნველყოფს აკადემიის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის (2020-2024) თანახმად, დაწესებულების მიერ სუსტ მხარედ იდენტიფიცირდა ,,კვლევითი აქტივობის დაბალი დონე'' და სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული 13 ძირითადი მიზნიდან სტრატეგიულ მიზნად განისაზღვრა: ,,სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის უნივერსიტეტად გარდაქმნის პროცესის დაწყება'', ,,კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება''.

ინტერვიუ ცხადყოფდა, რომ აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმის შესაბამისად 2018 წლიდან დაწყებულია სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, თუმცა რიგი ამოცანები ჯერ არ შესრულებულა, დაწესებულება ფიქრობს, რომ უახლოეს 2 წელიწადში უფრო რეალისტური იქნება პარტნიორ საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით სადოქტორო პროგრამის განხორციელება.

სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ აკადემიაში ბოლო პერიოდში შეინიშნებოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის კუთხით მწირი აქტივობები, 2019 წლის დეკემბერში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო ამ საქმიანობის კოორდინირებისა და მონიტორინგის მიზნით. სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს ფუნქციები რეგულირდებოდა ბიბლიოთეკის დებულებით, რომელიც დამტკიცებული იყო ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის გადაწყვეტილებით 2020 წლის 7 თებერვალს (№2/2). ამავე სამმართველოს კოორდინატორისა და უფროსი სპეციალისტის დანიშვნა მოხდა 2020 წლის 01 თებერვლიდან. სამმართველოს უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ რექტორის ბრძანებაში შეინიშნება ტექნიკური ხარვეზი ვადების განსაზღვრის ნაწილში (თანამდებობაზე დაინიშნა 2020 წლის 01 თებერვლიდან 31 იანვრის ჩათვლით). სწორედ თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მოხდა სამმართველოს ფუნქციების განსაზღვრა და მმართველ რგოლთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრაში მონაწილეობდა თავად კოორდინატორიც, თუმცა ამას არ ადასტურებს თავად კოორდინატორი, მეტიც აღნიშნავს, რომ არ იცნობს დებულებას. რაც შეეხება სამმართველოს სპეციალისტს, ინტერვიუდან იკვეთება, რომ მისი ფუნქციები ხელმძღვანელმა ზეპირსიტყვიერად გააცნო, თუმცა საკუთარი თანამდებობრივი ინსტრუქცია არ მიუღია. აკადემიამ დამატებით წარმოადგინა სამმართველოს კოორდინატორის, მთავარი და უფროსი სპეციალისტების თანამდებობრივი ინსტრუქციები, თუმცა დებულებით განსაზღვრული იყო სპეციალისტების პოზიციები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით და საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით; ასევე, ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველომ ვერ შეძლო ეფექტურად და კოორდინირებულად განეხორციელებინა ფუნქციები. კერძოდ, რიგ შემთხვევაში დასახელებულ იქნა დისტანციურ მუშაობაზე გადასვლა, ფუნქცია-მოვალეობების ზუსტად არ ცოდნა და რიგ საკითხებში აზრთა სხვადასხვაობა, არაეფექტიანი კომუნიკაცია.

შემუშავდა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლითაც განისაზღვრა მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. დებულებათა შესწავლის შედეგად დგინდება, რომ არ არის ფუნქციათა გადაფარვა. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მმართველ ორგანოებში შერჩევის/დანიშვნის პროცედურები დამტკიცებულია, რომლებიც იყო გამჭვირვალე და

რეგულაციებსა და აკადემიის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. დისციპლინური კომისიის მუშაობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით მართვის ორგანოების მიერ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული დროულად და ეფექტიანად. აკადემიას ხელმძღვანელობს აკადემიის რექტორი, რომელიც იმავდროულად არის სენატის თავმჯდომარე. აკადემიაში რექტორის თანამდებობა არ იყო არჩევითი. მას თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი. სენატი იყო კოლეგიური წარმომადგენელი და მმართველი ორგანო, რომელიც შედგება რექტორისგან, რექტორის მოადგილეებისგან, გარდა პირველი მოადგილეებისა დაწყებითი განათლების ერთეულების ხელმძღვანელებისგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისგან, სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან და ფაკულტეტის საბჭოების ორ-ორი წარმომადგენლისგან. ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის შემადგენლობაში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრთან ერთად შედის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2.1 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტების მიერ გაცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. უზრუნველყავით ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა ეფექტიანად და კოორდინირებულად განახორციელოს საკუთარი ფუნქციები;
2. უზრუნველყავით ყველა საკითხთან დაკავშირებით მართვის ორგანოებში დროული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება;
3. ჩამოაყალიბეთ თანამდებობრივი ინსტრუქციები ნათლად და უზრუნველყავით მათი პერსონალისთვის გაცნობა.

რეკომენდაციები 2.2 სტანდარტთა მიმართებით:

1. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი;
2. შემუშავებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის შესამოწმებლად იქნება დროული და ეფექტური;
3. თანამდებობრივ ინსტრუქციებს მიეთითოს დამტკიცების თარიღი;
4. შემუშავებულ იქნას ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები პარტნიორ, ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელთან ერთად.
5. სამოქმედო გეგმაში, 2020 წლის ნაწილში, სადოქტორო პროგრამის შემუშავების პროცედურის შესრულების ვადები იქნას სწორად გაწერილი;
6. მოხდეს აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის სისტემის
7. განხორციელდეს სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანალიზი მათი ეფექტურობის დადგენის მიზნით.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულზე, მომჩივანი მხარეც აპელირებდა და განმარტა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას 2019 წელს დამტკიცებული ჰქონდა დოკუმენტი ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის პროცედურის შესახებ. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი იყო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზი, შემავალი და გამომავალი მონაცემები და სისტემის მოთხოვნები. აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, ხელმძღვანელობამ უნდა მოამზადოს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზი ყოველწლიურად, რაც ინტერვიუების დროს დასტურდება. როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალი, ადასტურებდა, რომ ყოველი

წლის/სემესტრის ბოლოს ხდება გამოკითხვების ანალიზი, რასაც შემდგომ განიხილავს სენატი. ყოველივე ამის დასტურად უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიშის შესახებ მიღებული 2019 წლის 15 თებერვლის და 2020 წლის 7 თებერვლის სენატის გადაწყვეტილებები. დანართებში ნაჩვენებია კონკრეტული მიზნები, ამოცანები და მონიტორინგის შედეგები. ამ დანართებიდან ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ჩართული არიან უნივერსიტეტში არსებული სტრუქტურული ერთეულები, პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ პროცესში არ ყოფილა ჩართული ბიბლიოთეკასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებიდან მიღებული არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, თანდართული დოკუმენტებით, იკვეთება, რომ ეს სტრუქტურული ერთეული მონაწილეობდა ბიბლიოთეკის დებულების კორექტირების პროცესში, კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს თანამშრომელთა ფუნქციების განსაზღვრაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან 2019 წლის აგვისტოსა და 2020 წლის აპრილში მე-6 სტანდარტის შესრულებაზე ანგარიშის მომზადების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მიმართა სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს საკუთარი ანგარიშების წარმოსადგენად, რომლებიც ვერ მიიღო შესაბამისი ფორმით, უფრო კონკრეტულად კი, ანგარიშის წარდგენილი ფორმატი არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ჩანაწერი შეიცავს გარკვეულ უზუსტობას იმასთან დაკავშირებით, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო შეიქმნა 2019 წლის დეკემბერში და შესაბამისად, იმავე წლის აგვისტოში ვერ იქნებოდა წარმოდგენილი მისი საქმიანობის ანგარიში.

ექსპერტმა განმარტა, რომ ინტერვიურების დროს აღნიშნული სამმართველოს ყოფილ ხელმძღვანელთან ვაჟა ანანიძესთან გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო ვერ წარმოადგენდა შესაბამის ანგარიშებს იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობდა გაწერილი ამ სამმართველოს ფუნქცია-მოვალეობები, შესაბამისად არ სრულდებოდა აქტივობები სამმართველოს ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს საშუალება არგუმენტირებული პოზიციის შედეგად მიღებული მასალები განიხილოს და დაეყრდნოს ამ მასალებს, მაინც უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ამ საკითხთან დაკავშირებით მტკიცებულებები. ასევე, განმცხადებელი აღნიშნავს რომ მან ფაკულტეტებისგან გამოითხოვა მონაცემები შესრულებული და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების შესახებ და ეს მონაცემები მას არ მიეწოდა. ეს საკითხი გადამოწმდა უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ 2020 წლის აპრილში, მაშინ, როდესაც ხდებოდა მე-6 სტანდარტის შესრულების ანგარიშის მომზადება, არ დასტურდება სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს ფუნქცია-მოვალეობების არ არსებობა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ბიბლიოთეკის დებულებაში, ისინი გაწერილი იყო. როგორც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ვის უშუალო დაქვემდებარებაშიც არის სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს სამმართველო და ასევე ამ სამმართველოს ერთი თანამშრომელიც ადასტურებენ, რომ სამმართველოს შექმნისთანავე გაიწერა უფლება-მოვალეობები და შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა მისი ყოფილი კოორდინატორიც. თავად სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს კოორდინატორის თანამდებობრივ ინსტრუქციაში ჩამოყალიბებულია მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

არსებული სამმართველოს ვალდებულებას წარმოადგენდა საგანმანათლებლო ერთეულების გამართული ფუნქციონირება, კერძოდ, ფაკულტეტებთან და აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობა, სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება და მხარდაჭერა აკადემიის საჭიროებიდან გამომდინარე, საზღვაო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო

საქმიანობის მონიტორინგი და მხარდაჭერა, საზღვაო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ ამ დოკუმენტს არ ჰქონდა მითითებული შემუშავების და დამტკიცების თარიღი. აღნიშნული სამმართველოს ფუნქციებში არ შედიოდა პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის რაიმე სახით კონტროლი. როგორც ფაკულტეტების დეკანები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები აღნიშნავდნენ, მათთვის ანგარიშის წარდგენის მიზნით მასალები აღნიშნულ სამმართველოს არ გამოუთხოვია. ამასვე ადასტურებს სამმართველოს ერთი სპეციალისტი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს, მათ აღნიშნეს, რომ რამდენჯერმე მიმართეს სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს კოორდინატორს მისგან ანგარიშის მიღების მიზნით, თუმცა ვერ მიიღეს. ინტერვიუების შედეგად არ დასტურდება ფაკულტეტებზე რაიმე სახის ზეწოლა ხარისხის სამსახური მხრიდან. მას შემდეგ, რაც ამ სამმართველოს მხრიდან 2020 წლის აპრილში ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული საკითხების ირგვლივ განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში, იმის გამო, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველომ ის არ წარმოადგინა (რადგან მისი კოორდინატორი თვლიდა, რომ მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ამ სამმართველოს ფუნქცია-მოვალეობები არ იყო გაწერილი, ამ სამმართველოს არ შეეძლო შესაბამისი აქტივობები განეხორციელებინა), სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა და მასთან დაკავშირებული საკითხები განსახორციელებლად გადაეცა ფაკულტეტებს. აღნიშნული დადასტურდა ფაკულტეტების დეკანებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმი, რაც იმის საშუალებას მისცემდა უნივერსიტეტს, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველოს უმოქმედობა დროულად გამოევლინა და დაეწყო შესაბამისი აქტივობები.

ბათუმის საზღვაო აკადემიამ წარმოადგინა 2018 წლის სენატის გადაწყვეტილება, მომსახურების მონიტორინგის პროცედურის შესახებ, სადაც მოცემულია ზოგადი დებულებები, გამოკითხვის ჩატარების წესი და შედეგების ანალიზი, დასკვნითი დებულებები. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულ საჩივრის წერილში საუბარია იმაზე, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არაპროფესიონალები იკავებენ ადგილს. ამ გარემოების გამო ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები. უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კვალიფიკაცია იყო ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგი, თუმცა მისი გამოცდილება ხარისხის მართვაში 2002 წლიდან იწყება და მას აქვს ამ მხრივ დიდი გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებში, მათ შორის, ბათუმის საზღვაო აკადემიაში 2012 წლიდან. საჩივრის წერილში საუბარია ასევე რექტორის არაპროფესიონალიზმზე, რაც წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დასტურდებოდა. გარდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა, საზღვაო აკადემია სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარე შემოწმების მასალებსაც წარმოადგენს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ წარმოადგინა დოკუმენტი 2018-2024 წლების განვითარების სტრატეგიულ გეგმა, სადაც ნათქვამია, რომ 2017 წელს საზღვაო აკადემიამ გაიარა საერთაშორისო მენეჯმენტის სისტემის ISO 9001:2015-სა და IQNet-ის ხარისხის მართვის შესაბამისობის რესერტიფიკაცია. ამ გეგმის პირველივე მიზანში ნათქვამია, რომ იგეგმებოდა ხარისხის მექანიზმების დახვეწა, ისევე როგორც მართვის ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის დანერგვის მიზნით აკადემიის მომზადება და იმპლემენტაცია. აღნიშნული მიზნის განხორციელების დასტურად შესაბამისი სერთიფიკატები იყო წარმოდგენილი, ასევე სამოქმედო გეგმის დანართში მითითებული იყო ამ სერთიფიკატების გამცემი ორგანოების დასახელებები და გაცემის თარიღები. სამოქმედო გეგმის მე-2 მიზანიც შეიცავდა ერთ-ერთ ამოცანას - საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწას. მე-12 მიზანი კი ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: საზღვაო აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება, ხარისხის სისტემის განვითარება. საზღვაო აკადემიის რეპუტაციისა და ცნობადობის ამაღლება. ხარისხის

უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების რეგულარული გადამზადება და თანამშრომლობის გაუმჯობესება ხარისხის მართვის სტანდარტის მასერტიფიცირებელ ორგანოებთან, ხარისხის სისტემის გაუმჯობესების მექანიზმების დახვეწა, ხარისხის კულტურის ამაღლების მექანიზმების განვითარება წარმოადგენს ამ მიზნის შემადგენელ ამოცანებს. ამ მიზნებიდან, აკადემიის მართვის ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის სისტემის განვითარება ჯერ კიდევ წარმოადგენდა უნივერსიტეტის ამოცანების შესასრულებელ ნაწილს.
როგორც ინტერვიუების დროს აღინიშნა ადმინისტრაციის მხრიდან, უნივერსიტეტის რეპუტაციაზე და ცნობადობის ამაღლებაზე ზრუნავს უნივერსიტეტი, მათ აქვთ წარმოდგენილი მემორანდუმები უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და იგეგმება როგორც საგანმანათლებლო, ასევე ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების წარმოება. უნივერსიტეტი წარმატებით თანამშრომლობს ხარისხის მართვის სტანდარტის მასერტიფიცირებელ ორგანოებთან. სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლების ნაწილში არის ჩანაწერი: ამოქმედებულია ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები პარტნიორ, ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელთან ერთად. როგორც ვიზიტების დროს ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, ასეთი ერთობლივი პროგრამები უნივერსიტეტს დღეის მდგომარეობით არ გააჩნია, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტთან, თუმცა სტრატეგიული გეგმის აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამებოდა სიმართლეს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულ საჩივარში ასევე ნახსენებია, რომ ინსტიტუცია გეგმავს სადოქტორო პროგრამების შემოტანას და განმცხადებლის აზრით, ინსტიტუცია ამისთვის მზად არ არის.
უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის მიხედვით, ბათუმის საზღვაო აკადემია 2018 წლიდან უნდა გეგმავდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვის და განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, ისევე, როგორც სადოქტორო პროგრამების მიმართულებების დამუშავებას, თუმცა 2020 წლის აგვისტოს მდგომარეობითაც, ჯერ კიდევ იგივე მდგომარეობაა. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აღინიშნა, რომ ისინი ჯერ კიდევ ფაკულტეტებზე განიხილავენ სადოქტორო პროგრამების მიმართულებებს. მას შემდეგ, რაც დადგინდება მიმართულება და შესაბამისი განმახორციელებელი პერსონალი, დაიწყება პროგრამის შემუშავება. სამოქმედო გეგმაში 2020 წლის ცხრილში, არის შესრულების მაჩვენებლის ველში არის სადოქტორო პროგრამის შემუშავების პროცედურა, აღნიშნულია, რომელსაც შესრულების ვადებში 2019 წლის 20 დეკემბერი უწერია. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს გასწორებას. საჩივარში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია რამდენიმე ნაშრომი, კერძოდ, ირაკლი შარაბიძის დისერტაცია, ალექსანდრე ბარამიძის და ირაკლი შარაბიძის ნაშრომი 2018 წლის IAMUC კონფერენციაზე, ირაკლი შარაბიძის სტატიები, ნინო ყურშუბაძის ნაშრომები. სამეცნიერო ნაშრომების შეფასების და ზოგადად, ჩატარებული კვლევების შეფასების მექანიზმების არსებობის თვალსაზრისით, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება, სადაც გაწერილია მათი სამეცნიერო აქტივობების შესფასების მექანიზმებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტები შემუშავებულია 2020 წელს და მათი მუშაობის ეფექტურობის დადგენა შეუძლებელია.

2.3 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები:

1. შემუშავდეს სასწავლო უნივერსიტეტში მეცადინეობის ჩატარების მონიტორინგის სპეციალური პროცედურები;
2. მოხდეს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვა მიღებული ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობების დებულების შესახებ არსებული დოკუმენტების შესაბამისად;
3. სისტემატურად ხდებოდეს სამეცნიერო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე;

4. პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების პროცედურები იყოს გამჭვირვალე;
5. შემუშავებულ იქნას ღია და გამჭვირვალე მექანიზმი პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციაზე გასაშვებად.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედებდა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია 2020 წლის 24 ივლისს. შინაგანაწესში მოცემულია ზოგადი დებულებები, პერსონალის შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი აკადემიის პერსონალის ზოგადი უფლება-მოვალეობანი, სამუშაო და დასვენების დრო, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები, შრომის ანაზღაურება და პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, აკადემიის სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა სტატუსის აღდგენის საფუძვლები, მობილობა და დასკვნითი დებულებები. შინაგანაწესის პუნქტებში მოცემული საკითხები, გადამოწმდა პერსონალთან გასაუბრების დროს. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მეცადინეობა ცდებოდა, წინასწარ ხდებოდა ინფორმირება და ლექტორის ჩანაცვლება სხვა ლექტორით, ან სხვა საგნით. ხოლო შემდეგ, ხდება გაცდენილი საათების ანაზღაურება. საწინააღმდეგოა ნათქვამი მომჩივანის მხრიდან, რომელიც ამბობს, რომ სისტემატურად ცდება მეცადინეობები უნივერსიტეტში და არაფერი რეაგირება ადმინისტრაციის მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით არ ხდებოდა.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერილი იყო პროცედურა, რომლის თანახმად გაცდენილი საათების ანაზღაურება რეგულირდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეს მექანიზმი ვერ უზრუნველყოფდა პროცესის სრულყოფას. ეთიკური და ქცევის ნორმების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტს უნდა შეემუშავებინა დამცავი მექანიზმები. მაშინ, როცა მომჩივანი ამ მიმართულებით მის წინააღმდეგ ადანაშაულებდა უნივერსიტეტს, თავის მხრივ უნივერსიტეტი წარმოდგენს ამონარიდებს მისი მიმოწერებიდან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისადმი, სადაც იკვეთება საწინააღმდეგო. კურსის კოორდინატორის მოხსენებითი წერილები, სადაც აღწერილია მომჩივანსა და სტუდენტს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაცია და მის მიერ სტუდენტისადმი მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის მაგალითები. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული დებულება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც 2020 წლის ივლისშია დამტკიცებული. ამ ორივე დოკუმენტის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტები აქვს უნივერსიტეტს, ისინი შემუშავებულია ახლახანს და არ ჩანს მისი განხორციელების გზები და პრობლემები, რაც წარმოიშვა მათი განხორციელებისას, ან რა მექანიზმები ამუშავდა, პრობლემის წამოჭრის შემთხვევაში და რა შედეგები დადგა. ერთადერთი, რაც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, არის ეთიკის კომისიის მუშაობის შედეგები. ეთიკის კოდექსიც სწორედ ამ დროს არის შემუშავებული და ეს იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას, იმის შესახებ, თუ რა პრინციპებზე დაყრდნობით მუშაობდა მანამდე უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის კომისია. 2020 წლის 1 მაისს უნივერსიტეტის სენატს მიღებული აქვს გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის ფორმირების შესახებ, რომლის თანახმადაც ფაკულტეტებს დაევალათ 2-2 კანდიდატის შერჩევა ფაკულტეტზე და მათი წარდგენა ეთიკის კომისიის წევრებად. ამის შემდგომ, უკვე არის სენატის გადაწყვეტილება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი კანდიდატების ეთიკის კომისიაში შეყვანის შესახებ. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის თანამშრომელთა დისციპლინური საქმისწარმოების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებიდან ჩანს, რომ კომისიას ხელმძღვანელობს 13 უნივერსიტეტის რექტორი, რაც წინააღმდეგობაში მოდის ერთ-ერთ კონკრეტულ ფაქტთან, სადაც უშუალოდ რექტორის წინააღმდეგ არის დავა. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით შეცვლილია კომისიის ხელმძღვანელი. მიუხედავად ამისა, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს ამტკიცებს სენატი, რომლის თავმჯდომარე არის რექტორი. აღნიშნული საკითხები მოდის ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და საჭიროებს დარეგულირებას.

2019 წლის 29 იანვრიდან ბათუმის საზღვაო აკადემია პლაგიატთან დაკავშირებით ჩართულია საერთაშორისო პროექტში “Integrity“, რომლის ფარგლებში ახორციელებს სამეცნიერო ნაშრომების შემოწმებას ტურნიტინის პროგრამით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ერთი საბაკალავრო და 3 სამაგისტრო ნაშრომი, რომლებიც შემოწმებულია პლაგიატზე, ასევე სტატიები კონფერენციებისთვის. მიუხედავად ამისა, აუცილებელია ყველა სამეცნიერო აქტივობა მოწმდებოდეს პლაგიატზე, როგორც სტუდენტთა ნამუშევრები, ასევე აკადემიური პერსონალის ნაშრომები. ასევე, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მიმართ განმცხადებლის საჩივარში საუბარია, რომ სამეცნიერო ნაშრომებში ადგილი აქვს პლაგიატს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ პლაგიატზე შემოწმებულ ნაშრომებში ჩანს პლაგიატის პროგრამის მიერ დაგენერირებული შედეგები, თუმცა თავად პლაგიატის შემოწმების პროცედურები არ არის წარმოდგენილი. სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა კონფერენციაზე პერსონალის ან სტუდენტების გაშვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იქიდან გამომდინარე, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო გასული წლის დეკემბერში შეიქმნა და მას შემდეგაც აქტივობები არ განუხორციელებია, ეჭვქვეშ დგას პერსონალისა და სტუდენტების კონფერენციაზე გაშვებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვალობა. თუმცა, ინტერვიუებისას იკვეთება, რომ პროცესი ღიაა ყველა დაინტერესებული მხარისათვის. პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ მათთან მიმართებაში აკადემიური თავისუფლების პრინციპები უნივერსიტეტში დაცულია, თუმცა უნდა აღინიშნოს ერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს აკადემიური პერსონალის თანამდებობის დატოვებას უნივერსიტეტის მხრიდან.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გასაუბრებისას აღინიშნა აკადემიური თავისუფლების დარღვევის პრინციპები უნივერსიტეტში, რაც მისი თქმით იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნულ აკადემიურ პერსონალს არ ეძლეოდა საშუალება თავისი საქმიანობა განეხორციელებინა ზემდგომი სტრუქტურული ერთეულების ზეწოლის გარეშე, კერძოდ, რიგ შემთხვევებში, მას ეკითხებოდნენ რჩევას, შეთანხმდებოდნენ მის განხორციელებაზე, თუმცა შემდგომ ის გათვალისწინებული არ იყო ადმინისტრაციის მხრიდან. უნდა აღინიშნოს გამოკითხვები და გამოკითხვების შედეგები, სადაც აკადემიური თავისუფლების შეზღვუდვის პრეცენდენტები არ ფიქსირდება.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციის განვითრებისთვის აუცილებელია რეკომენდაციების არსებობა და მათი მაქსიმალურად გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, რომ ყველა დებულება თუ შინაგანაწესი მუშავდება ხელმძღვანელების ჩართულობით ერთობლივად, რის შემდეგაც აღნიშნული გადის საბჭოსა თუ სენატზე დასამტკიცებლად.

რექტორმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების სტუდენტების მუდმივად ჩართულნი არიან საერთაშორისო ღონისძიებებში და მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებში. სტუდენტების შერჩევის შემდეგ, ხდება მათი მომზადება აკადემიური პერსონალის მიერ.

რექტორმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციაზე და განმარტა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღებოდა სტრუქტურულ ერთეულებში ცნობილი იყო მისი ყველა წარმომადგენლისათვის და შესაბამისად, მუშაობა ხდება კოორდინირებულად.

რექტორმა ასევე ისაუბრა ინსტრუქციების თარიღებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად გაიზიარებდა მოცემულ რეკომენდაცია. იმ შემთხვევაში, როცა ინსტრუქციები არის გაწერილი და ადაპტირებული, ამა თუ იმ თანამდებობაზე პერსონალის დანიშვნის დროს პირი ხელშეკრულებას აწერდა ხელს, შესაბამისად, დაწესებულება დამატებითი თარიღის განსაზღვრის და ხელმოწერის აუცილებლობას არ ხედავდა. თუმცა აღნიშნა , რომ რეკომენდაცია აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აკადემია საკმაოდ სერიოზულად დაიწყო ამ კუთხით მუშაობა. მათ განახორციელეს არა ერთი ვიზიტი და მიიღეს არა ერთი სტუმარი უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. თუმცა აღსანიშნავი იყო თანამშრომლობა დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის უნივერსიტეტებთან. აკადემიამ გადაგა პირველი ნაბიჯები

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ,,ნავიგაციის ინგლისურენოვან პროგრამას“ მიენიჭა აკრედიტაცია, რაც კიდევ უფრო ხელს უწყობდა აღნიშნული საკითხის განვითარებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-2 სტანდარტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო სამმართველო შეიქმნა 2019 წლის დეკემბერში, ხოლო საშტატო ნუსხით დამტკიცება მოხდა 2020 წლის იანვარში, საჩივრის ავტორი კოორდინატორის პოზიციას იკავებდა შტატგარეშე თანამშრომლის სახით. განმცხადებლისთვის კარგად იყო ცნობილი მისი უფლება- მოვალეობები, რომელიც ასევე გაწერილია დებულებაში. ინფორმაცია თანამშრომელთა უფლება მოვალეობის შესახებ ასევე განთავსებული იყო საიტზე, რომელიც ყველასთვის იყო ხელმისაწვდომი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ბაკალავრის დიპლომი არ იყო საკმარისი იმისთვის რათა მეზღვაური წასულიყო შორეულ ნაოსნობაში, აქედან გამომდინარე, კოლეგ ადმინისტრაციებთან ერთად განიხილება მათი მხრიდან სამუშაო დიპლომების გაცემის შესაძლებლობა. დაწესებულების მიერ გერმანიასა და დიდ ბრიტანეტთან გაფორმებული იქნა აღიარების ხელშეკრულება. სამუშაო დიპლომების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ხანგრძლივ პროცესს. საკითხის განხილვის გადადება გამოიწვია ასევე მსოფლიოში არსებულმა პანდემიამ, რადგან დაწესებულებას დაემატა სხვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, როგორიცაა მეზღვაურთა როტაცია. აღსანიშნავია, ასევე , რომ აკადემიის წარმომადგენლები 2018 წელს იმყოფებოდნენ გერმანიაში, სადაც ჰქონდათ შეხვედრა ერთ-ერთ საზღვაო სასწავლებელთან, რის შედეგადაც მოხდა სამოქმედო გეგმის გაწერა სამუშაო დიპლომების საკითხთან მიმართებით.
დაწესებულების რექტორის მოადგილემ ისაუბრა ექსპერტთა მიერ გაცემულ მე-8 რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ოპერატიულ გეგმაში გაწერილი იყო ის საფეხურები, რაც აუცილებელი იყო სადოქტორო პროგრამის შესაქმნელად. გეგმა მოიცავდა ისეთი აქტივობების განხორციელებას, როგორიცაა: კვლევითი საქმიანობის განვითარება, კვლევითი საქმიანობის შეფასება, წახალისება, სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა. 2018 წლიდან დღემდე მოხდა ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების შესრულება კვლევითი საქმიანობის განვითარების კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე, კერძოდ აღნიშნა, რომ ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მომხდარიყო სისტემურად და მნიშვნელოვანი იყო, პირველ რიგში პლაგიატთან დაკავშირებით ცნობიერებისა და ინფორმაციულობის გაზრდა. დაწესებულება ასევე ჩართულია ERASMUS-ის პროექტში, რომელის მიზანია აკადემიური კეთილდღეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.
დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატთან დაკავშირებით ასევე დაამატა, რომ მათ მიერ არგუმენტირებულ პასუხში გადმოგზავნილი იყო არამხოლოდ მაგისტრანტთა ნაშრომები, არამედ ის ნაშრომები, რომლებიც წარმოადგინა აკადემიურმა პერსონალმა საერთაშორისო კონფერენციებისთვის. აღნიშნული ნაშრომები იყო 2019-2020 წლების. მუდლის პლატფორმის დანერგვის შემდეგ დაწესებულება აქტიურად იყენებს მას აკადემიური ნაშრომების შემოწმებისათვის. მან ასევე ისაუბრა კიდევ ერთ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტში მეცადინეობის ჩატარების მონიტორინგის სპეციალური პროცედურების შემუშავებას. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი სამსახური, რომლის სპეციალისტები ამოწმებენ და ადასტურებენ ლექციების ჩატარების პროცესს, ასევე ატარებენ გაცდენილი ლექციების აღდგენის მონიტორინგს. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მკაცრად აქვთ გაწერილი დისტანციური სწავლების წესი, შეძენილი აქვთ ზუმის პლატფორმა და ლექციების ჩატარებას ამოწმებს როგორც მონიტორინგი, ასევე შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის სამსახური. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მათ ასევე დებულებით აქვთ გაწერილი მონიტორინგის თანამშრომლების უფლება-მოვალეობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას კითხვით, თუ ჰქონიათ მათ შემთხვევა, როდესაც ლექტორს ლექციების გაცდენის გამო დაუქვითეს ხელფასი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ აღდგენითი ლექციები, იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი სრულყოფილად განხორციელდეს. ისინი აძლევენ ლექტორს ვადას ლექციების აღსადგენად. მათ სასწავლო კალენდრით განსაზღვრული აქვთ დამატებითი სასწავლო კვირა, ამიტომ მინიმუმამდეა დაყვანილი ლექციების გაცდენა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კიდევ ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:28 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:45 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, მე-12 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რეკომენდაციების შესასრულებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

განმცხადებელმა ვაჟა ანანიძემ მოითხოვა, რომ საბჭოს მისთვის მიეცა საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ვაჟა ანანიძეს.
განმხცადებელმა აღნიშნა, რომ მე-6 სტანდარტთა მიმართებით დაწესებულებაში ხარვეზები მონიტორინგის მიუხედავად კვლავ არსებობდა, რისი გამოსწორებაც უნივერსიტეტის მიერ გატარებული ცვლილებების შედეგად არ მომხდარა. მისი განცხადებით დაუშვებელია სამეცნიერო საქმიანობის ბიბლიოთეკისთვის დაქვემდებარება. ასევე, მან ისაუბრა დაწესებულების მხრიდან მისი შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ.
საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ საბჭო კანონმდებლობიდან გამომდინარე დაწესებულებას ამოწმებს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად და იგი მოკლებულია შესაძლებლობას კონკრეტული შრომითი დავის საკითხები განიხილოს. მან აღნიშნა, რომ მომჩივანის განცხადების საფუძველზე დაიწყო ცენტრში ადმინისტრაციული წარმოება და ორგანიზაციული სახის ხარვეზები დაწესებულებასთან მიმართებით გამოვლინდა შემოწმების შედეგად. სწორედ აღნიშნული მიზეზების გამო საბჭოს გადაწვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა ხარვეზებისა და რეკომენდაციების აღმოსაფხვრელად. მან განუმარტა განმცხადებელს, რომ თუკი იგი დავობს მის უფლებებთან დაკავშირებით უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს.

განმცხადებელმა ასევე ისაუბრა აკადემიური პერსონალის არჩევითობის არასწორ პროცედურაზე, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო. გარდა ამისა, მას ასევე უარყოფითად დაახასიათა უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობა და მისი პერსპექტივები.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექპერტთა რეკომენდაციებში ასახული იყო ყველა ის ძირითადი საკითხი, რაზეც განმცხადებლი აპელირებდა, შესაბამისად დაწესებულების მიერ მოხდება აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრა. ამისი გადამოწმება კი მოხდებოდა მომდევნო მონიტორინგის ფარგლებში.
დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 17:15 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ